რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 81/თ

„21“ თებერვალი, 2019 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მანდატურის სამსახურის მანდატურებისთვის დამატებითი მოვალეობების განსაზღვრის შესახებ

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში სასამართლო პროცესზე განხორციელებული ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო- და აუდიო ჩაწერის შესახებ სტატისტიკური მონაცემების სრულყოფისა და მხარისთვის საჯარო ინფორმაციის მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს მანდატურის სამსახურის მანდატურის თანამშრომელთა დამატებითი მოვალეობები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს №1 და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს №2 საგუშაგოს მანდატურებს დაევალოთ:

   - ✓ აწარმოონ სასამართლო პროცესის ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო- და აუდიო ჩანაწერის შესახებ აღრიცხვის ჟურნალი;

   - ✓ რუსთავის საქალაქო სასამართლოს №1 და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს №2 საგუშაგოს მანდატურმა სასამართლო პროცესის ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო- და აუდიო ჩანაწერის შესახებ აღრიცხვის ჟურნალში სავალდებულოდ აღნიშნოს:

     ა) რიგითი ნომერი;

     ბ) საქმე, რომელზეც მიმდინარეობს/მიმდინარეობდა სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო- და აუდიო ჩაწერა;

გ) სასამართლო პროცესის თარიღი, სასამართლო პროცესის დაწყების და დასრულების დროის მითითებით, რომელზეც მიმდინარეობს/მიმდინარეობდა სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო- და აუდიო ჩაწერა;

დ) სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე);

ე) საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, რომელსაც დაერთო ნება აწარმოოს ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო- და აუდიო ჩაწერა;

ვ) საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე, რომელ მაუწყებელს ეთქვა უარი ფოტოგადაღებაზე, კინო-, ვიდეო- და აუდიო ჩაწერაზე და რა საფუძვლით;

ზ) „ა“ – „ვ“ პუნქტების სისწორე დაადასტუროს ხელმოწერით, სახელის და გვარის მითითებით.

2. ბრძანების განუხრელად შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსს;

3. ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 21 თებერვლიდან;

4. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე